

კონკურენტული გარემოსა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის
პრობლემები საჯარო სამსახურში პერსონალის შერჩევის პროცესში

გიორგი სელიმაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო მმართველობის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: არჩილ აბაშიძე, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია საჯარო სექტორში რეკრუტირების პრობლემები, რომლებიც პერსონალის შერჩევის პროცესში გამჭვირვალობისა და კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფას ეხება. ნაშრომი ფოკუსირებულია საჯარო სექტორის ვაკანსიებზე ჩატარებული კონკურსების შედეგებზე, რომლებიც მკითხველს აცნობს 2012 წლის ოქტომბერში ახალი ხელისუფლების არჩევის შემდეგ მთავრობის მიერ განხორციელებული საკადრო პოლიტიკის თავისებურებებს.

ნაშრომი შედგება სამი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში საუბარია საქართველოს საჯარო სამსახურზე - ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამართლებრივ კონტექსტში, ასევე გამოკვეთილია ახალი ხელისუფლების HR-პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა, რომელიც ბიუროკრატიული აპარატის ნაკლებად კვალიფიციური და კორუმპირებული კადრებით დაკომპლექტებას და, თანამდევი შედეგის სახით, საჯარო სამსახურის კომპლექსური რეფორმის შეფერხებას გულისხმობს.

მეორე ნაწილში განხილულია რეკრუტირების ხარვეზები, რომლებიც გაუმართავ კანონმდებლობაში და ადამიანური რესურსების მართვის მანკიერ პრაქტიკაში ვლინდება. წარმოდგენილია და გაანალიზებულია 22 სხვადასხვა სამინისტროს და საჯარო სამართლის იურიდიული პირის 4 ათასზე მეტ ვაკანსიაზე ჩატარებული კონკურსების შედეგები, საიდანაც დასტურდება, რომ შედეგების დიდი ნაწილი წინასწარ განსაზღვრულია. კონკურსების შედეგების მოპოვება შესაძლებელი გახდა კვლევის ფარგლებში, რომელიც სხვადასხვა უწყებიდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვისა და მოპოვებული მონაცემების დამუშავების გზით ჩატარდა.

მესამე ნაწილში წარმოდგენილია დასკვნა და რეკომენდაციები, სადაც შეჯამებულია საჯარო სამსახურის წინაშე არსებული გამოწვევები და შემოთავაზებულია გარკვეული ნაბიჯები, რომლებიც საჯარო სექტორში რეკრუტირების პროცედურის გაუმჯობესებას ემსახურება.